ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 14.02. 2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №1

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აგრეთვე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ფორმის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აგრეთვე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021 - 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მუშაობის ფარგლებში გათვალისწინებული მეცადინეობები წარიმართოს შემდეგი ფორმით:

ა) ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ჰიბრიდული ფორმით - ლექცია/სემინარი/კონსულტაცია აუდიტორიებში და დისტანციურად; შუალედური და დასკვნითი გამოცდები - დასწრებული ფორმით აუდიტორიებში.

ბ) მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის - სრულად დისტანციურად.

2. დისტანციური სწავლებისთვის გამოყენებულ იქნეს Moodle-ის პორტალი და მასში ინტეგრირებული BBB ონლაინ პლატფორმა.

3. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, 4 აპრილიდან უმაღლესი

განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) სტუდენტებისთვის მეცადინეობები განახლდეს დასწრებით ფორმატში (არადისტანციურ რეჟიმში).

4. სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, საგამოცდო ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლებს; ენების ცენტრს;

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. განთავსება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ირაკლი ბრაჭული